

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



**არასამთავრობო ორგანიზაციების
განცხადება ყოფილი პრემიერის ბიძინა
ივანიშვილის მიერ ეკა გიგაურისა და კახა
კოჭორიძის მისამართით გამოთქმულ
მოსაზრებებთან დაკავშირებით**

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



გვინდა, გამოვცხადოთ გადაცემაში "კვირის 20/30" ყოფილი პრემიერმინისტრის, ბიძინა ივანიშვილის განცხადებებს საზოგადოებრივი ორგანიზაციების ყოფილ და ამჟამინდელ ხელმძღვანელთა მიმართ.

ყოფილი პრემიერმინისტრი აგრძელებს განცხადებათა სერიას არასამთავრობო ორგანიზაციების წინააღმდეგ. იგი, მართალია, ეკა გიგაურსა და კახა კოჭორიძეს ადანაშაულებს ოპოზიციურ ძალებთან თანამშრომლობაში, მაგრამ განცხადების სულისკვეთება მთლიანად სამოქალაქო სექტორის დისკრედიტაციას ემსახურება. მიუხედავად იმისა, რომ ბიძინა ივანიშვილის მტკიცება დაუსაბუთებელია, მან შესაძლოა, წაახალისოს სხვა პირები, განსაკუთრებით, ხელისუფლების წარმომადგენლები, გამოიყენონ იგივე რიტორიკა არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართ და, ამდენად, შეაფერხონ აქტიური სამოქალაქო ჩართულობა საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი პროცესებში. როგორც ეს უკვე ვნახეთ, ყოფილი პრემიერის მსგავს განცხადებებს ხშირად მოჰყვება ხოლმე დაუსაბუთებელი ბრალდებები პოლიტიკოსთა და თანამდებობის პირთა მხრიდან.

ბოლო დროს გახშირებული სიტყვიერი თავდასხმები არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართ გვაფიქრებინებს, რომ ადგილი აქვს არა საქმიან კრიტიკას, რომელსაც სიამოვნებით მოვისმენდით, არამედ განსხვავებული აზრის უპატივცემულობას. ასეთი მიდგომა ადგილს არ ტოვებს საზოგადოებრივი ორგანიზაციების ერთ-ერთი მთავარი ამოცანისთვის - ხელისუფლების მიერ დაშვებულ შეცდომებსა და სისტემურ პრობლემებზე მივმართოთ საზოგადოების ყურადღება.

ის, რომ არასამთავრობო ორგანიზაციების პოზიცია, გარკვეულ მომენტებში, შესაძლოა, დაემთხვეს სხვადასხვა პოლიტიკური ძალის მოსაზრებას, ჯერ კიდევ არ ნიშნავს მათ მიკერძოებულობას. ასე რომ იყოს, მოგვიწევდა უარი გვეთქვა იმ კამპანიებსა და ინიციატივებზე, რომლებსაც 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე ვახორციელებდით. ასეთ ინიციატივებს შორის უნდა ვახსენოთ კამპანიის **„D“** შენ გეხება **„I“** პირველი ნაწილი, რომელიც მიზნად ისახავდა, საარჩევნო კანონმდებლობის შეცვლასა და კონკურენტუნარიანი წინასაარჩევნო გარემოს ჩამოყალიბებას. დასანანია, რომ ამის ახსნა გვინევს.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



იმედს ვიტოვებთ, რომ ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდან, ყოფილი პრემიერის განცხადებები არ იქნება აღქმული მითითებად და ისინი, კანონისა და დემოკრატიის მოთხოვნების შესაბამისად, იქონიებენ არასამთავრობო ორგანიზაციებთან კონსტრუქციულ, შედეგზე ორიენტირებულ თანამშრომლობას.

- 1.სამოქალაქო განვითარების სააგენტო (სიდა)
- 2.სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED)
- 3.საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
- 4.ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)
- 5.ფონდი ღია საზოგადოება საქართველო
- 6.ადამიანის უფლებათა ცენტრი
- 7.იდენტობა
- 8.ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი (EPRC)
- 9.ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)
- 10.მწვანე ალტერნატივა
- 11.საქართველოს სასოფლო დარბაზი
- 12.მედიის ინსტიტუტი
13. განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი (CDD)

სამოქალაქო საზოგადოების რეგიონული ქსელი (R-CSN):

- 13.სამოქალაქო ინიციატივების ასოციაცია
- 14.ასოციაცია „სპექტრი“
- 15.ასოციაცია „დეა“
- 16.ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელი - მცხეთა-მთიანეთის რეგიონული კომიტეტი
- 17.საზოგადოება „ბილიკი“
- 18.სტეფანწმიდა
- 19.ქვემო ქართლის საზოგადოებრივ-საინფორმაციო ცენტრი

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



20.ნაბიჯი ხარაგაული

21.Step Forward

22.კავშირი "სპექტრი"

23.ოზურგეთის ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბი

24.ჩვენ-ჯანსაღი მომავლისათვის

25.რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის თვითმმართველობის რესურს-ცენტრი

26.ახალციხის ახალგაზრდული ცენტრი

27.დემოკრატ მესხთა კავშირი

28.საქართველოს დემოკრატიული განვითარების კავშირი

29.რეგიონის განვითარების ცენტრი

30.ქუთაისის საინფორმაციო ცენტრი